როდესაც ადამიანი გარდაიცვლება, მისი საქმეები წყდება, გარდა სამისა: უწყვეტი ქველმოქმედება (სადაყა), ცოდნა, რომლითაც სარგებელს იღებენ და შვილი, რომელიც მასზე ვედრებას გააკეთებს

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როდესაც ადამიანი გარდაიცვლება, მისი საქმეები წყდება, გარდა სამისა: უწყვეტი ქველმოქმედება (სადაყა), ცოდნა, რომლითაც სარგებელს იღებენ და შვილი, რომელიც მასზე ვედრებას გააკეთებს».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ ადამიანის საქმეები წყდება მისი გარდაცვალების შემდეგ, ანუ კეთილი საქმეები აღარ ეწერება მას, გარდა იმ სამი გზისა, რომლებიც ჰადისშია აღნიშნული: პირველი: სადაყა, რომლის საზღაურიც გრძელდება და არ წყდება, მაგალითად, ვაყფი (საქველმოქმედო ფონდი), მეჩეთის აშენება, ჭების გათხრა და სხვა მსგავსი საქმეები. მეორე: ცოდნა, რომელიც ადამიანებს სარგებელს აძლევს, მაგალითად, სამეცნიერო წიგნების დაწერა ან ვინმეს სწავლება, რათა ამ ადამიანის გარდაცვალების შემდეგ გავრცელდეს ეს ცოდნა. მესამე: მორწმუნე შვილი, რომელიც ლოცულობს თავისი მშობლებისთვის.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65566

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee